

საერთო გაფატი

№5 (555) • 19 თებერვალი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს, ამიტომ **ისინი ყველაფერზე ნაკლებ** - მათ შორის ქვეყნის დანგრევასა და სამოქალაქო დაპირისპირებაზე




ჩვენ ახლა ოპოზიციის მიერ დაგეგმილ ქვეყნის დაღუპვის პროცესს ვუყურებთ



ჯარტოსაყრელი ანუ რა კავშირია უგულავას და პინოჩეტს შორის?

თუ სამუოღლოს არ უღალატებ, **მოგკლავენ!**



რეპორტაჟი „ნინდა ცეცხლის მიწიდან“

ქართული ნარკომოგობის სუნვეიბინები საქართველოს წინააღმდეგ

დასაბგელები

„მისვალაბულთა წიგნი“

ჯარისაყრელი ანუ რა კავშირია უგულავას და პინოჩეტს შორის?

გიგი უგულავას დაჭერა თუ ვინმეს გაუხარდა, ალბათ, ყველაზე მეტად მიშა სააკაშვილს...

გიგა ბოკერიასაც თუ დაიჭერენ და ზედ დავით ბაქრაძესაც თუ მიაყოლებენ, სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ სიხარული მაშინ ნახეთ თქვენ.

„ნაცმოძრაობის“ მთავარი კონკურენტი „ქართული ოცნება“ კი არა „ევროპული საქართველო“



ძალიან ნაწყენია თავის თანაპარტიელებზე — ამდენ ხანს რომ ვერ დამაბრუნეთ უკან, იჯექით ახლა „ბიძინას ციხეში“.

— სააკაშვილი ჯართიაო, — იძახოს ახლა უგულავამ. თითქოს თვითონ ან ბოკერია არ იყოს ჯართი. „ნაცებიც“, „ევრონაციებიც“, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციაც განა ერთი დიდი ჯართსაყრელი არ არის, რომელიც ოცი წელია გარემოს აბინძურებს, მაგრამ ვერა და ვერ მიაყარეს მიწა.

— ახლა 2020-ში დავმარხავთ და ჩავაბეჭდებთ ამ ჯართსაყრელსო, — იქაძნება „ქართული ოცნება“, მაგრამ საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოება მკერდით არის გადაფარებული ამ „წმინდა ადგილს“, ამ ჯართსაყრელს — არ ქნათ ეგ ამბავი, დემოკრატია ნუ დაღუპავთო.

— კი, მაგრამ, რა შუაშია ერთმანეთთან ჯართი და დემოკრატია? — ამ კითხვას დიდი ხანია სვამს ქართველი ხალხი, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ ჩანს.

— ჯართი კი არა, ბრილიანტი ვარ მე, ქართული პოლიტიკის ელვარე ბრილიანტი, მაგრამ



საქართველოში 2012 წლიდან მოყოლებული სულ არჩევნებია, ქალბატონო ნინო — ხან საპარლამენტო, ხან საპრეზიდენტო, ხან ადგილობრივი თვითმმართველობის, ხან — შუალედური.

გამოდის, რომ თუ არჩევნების ჩამოთავებას ვუცადებთ, კაცი ვერ დაგვიჭერია.

— კი, დასაჭერი კი იყო ეს უგულავა, მაგრამ ადრე რატომ

უთქვამს, ახლა რატომ დაიჭირეთ და 30 წლის წინათ რატომ არ დაიჭირეთო.

ნაცისტებს 20–30–40 წლის შემდეგ იჭერდნენ და ასამართლებდნენ, დაგავიწყდათ ეს თქვენ, პატივცემულებო?

პინოჩეტი და უგულავა, ქართველი ფაშისტები და შიკლერუბერ-მუსოლინის ფაშისტები, მართალია, „გაბარტებით“ დიდად

გამოესარჩლება, როგორც უგულავას ესარჩლება ახლა?

სხვათა შორის, სააკაშვილთან ერთად ნინო ბურჯანაძესაც შეიძლება მოჰკითხონ რაღაც-რაღაცები საქართველოს მომავალმა მთავრობებმა...

სამართალი, როგორც იტყვიან, ურმით დადის, მაგრამ ისეთი ურმით დადის, რომელიც აუცილებლად წამოგეწყება სადღაც ან



და მის ლიდერებს ასე „პორცია-პორცია“ თუ დაიჭერენ, მაგას რა ჯობია?

მარტივი არითმეტიკაა — რაც მეტი „ევრონაცი“ მოხდება ციხეში, მით უფრო მეტი ნაცი მოხდება პარლამენტში და პირიქით...

როგორც ამბობენ, მალე ევრონაც უგულავას შეიძლება ნაცი ნიკანორ მელიაც მიაყოლონ.

აბა მართო სააკაშვილი ხომ არ იქნება გახარებული, ბოკერიაც ხომ უნდა გაეახაროთ ხანდახან?

სამართლიანობის პრინციპი რომ შენარჩუნდეს და ბალანსიც რომ არ დაირღვეს, მიღებულია გადაწყვეტილება: ერთ კვირას ევრონაცს რომ დაიჭერენ, მეორე კვირას ნაცს გასკვანჩავენ, მერე ისევ ევრონაცს უკრავენ ვირის აბანოში თავს, მერე ნაცს, მერე ევრონაცს, მერე ნაცს და ასე გაგრძელდება არჩევნებამდე.

ეს ყველაფერი კი იმით შეიძლება დამთავრდეს, რომ არჩევნების წინ აქეთ მხარეს ბოკერია დაარჩება, იქით მხარეს — ხოშტარია, ხოლო სულ იქით მხარეს, გაღმა ნაპირზე — ბედნიერებისგან სახეგაბადრული სააკაშვილი, რომელიც, როგორც ხმები მოდის,

სათანადოდ არ მაფასებენო, — გვსაყვედურობს ნინო ბურჯანაძე. არადა, რა ბრილიანტი, რისი ბრილიანტი — ესეც შევარდნადის პოლიტიკოსების გამოსაჩარხ კუსტარულ საამქროში გამოწახნაგებული ბიუუტერიაა.

ქ-ნ ნინო ძალიან არის გაწიწმტებული — კი, დასაჭერი იყო ეს უგულავა, მაგრამ მანინცდამინც ახლა, არჩევნების წინ, რატომ დაიჭირესო.

არ დაიჭირესო? — ბობოქრობს ბურჯანაძე.

ადრეც ხომ დაიჭირეს, ქალბატონო ნინო, ერთხელ ხომ დაიჭირეს და ვის რას საყვედურობთ, ვერ გამიგია?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ლოგიკაა ეს „ადრე რატომ არ დაიჭირეს და ახლა რატომ დაიჭირეს“?

პინოჩეტი, მგონი, 30 წლის შემდეგ დაიჭირეს, მაგრამ არავის

განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ კანონი და სამართალი ხომ ყველას მიმართ ერთი და იგივეა?

დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს, საქართველოს რომელიმე ხელისუფლებამ, 10 წლის შემდეგ, 15 წლის შემდეგ, 25 წლის შემდეგ, თავის „შაიკასთან“ ერთად, აუცილებლად დაიჭერს.

მაშინაც გამოვა ნინო ბიცოლა (ქ-ნ ნინო მიმიკოს ბიცოლად ეკუთვნის) და სააკაშვილსაც ისე

არჩევნების წინ, ან არჩევნების შემდეგ.

... გაერთიანებული ოპოზიციის ჯართსაყრელზე დიდი ქოთქოთი და დიდი შიშინობაა.

მართალია, ხაფი ხმით კი ყვირიან, ამას ვიზამთ და იმას ვიზამთო, მაგრამ თვითონ ხომ კარგად იციან, რა ნაკვები, უკაცრავად, რა ჯართებიც არიან?

იცან და სულ იმის მოლოდინში არიან, აი, ახლა ჩავგაბარებს „ქართული ოცნება“ ჯართად პოლიტიკურ ჯართსაყრელზე და აი, ახლაო.

აი, ამიტომ მიუჩნევიათ არჩევნები ყოფნა-არყოფნის და გადარჩენის ერთადერთ გზად, თუმცა ქართველი ხალხი ამ ჯართს თან რომ არ გადაჰყვება, ესეც კარგად იციან.

ამის გამოა ღობე-ფორეს რომ ედებან და ცოფიანებივით რომ დაძრწიან ხან ევროპაში, ხან — ამერიკაში — იქნება ვინმე მოაღყეონ და შეცდომაში შეიყვანონ, თუმცა არც აქიდან გამოდის რამე.

მათი ადგილი ჯართსაყრელზეა და ალბათ, იქ დაიმარხებიან საშუაამოდ და სამარადისოდ.



ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ქალბატონ მაია ცქიტიშვილს!

2020 წლის 12 თებერვალს ინტერვიუს დროს ჟურნალისტის შეკითხვაზე ანაკლია პორტის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით „იკვეთება თუ არა ანაკლია პორტის მიმართ ბიზნესმენთა მიერ ქარჩავას ინტერესი“, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ქალბატონმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ: „თეიმურაზ ქარჩავას ჯგუფი იღებდა მონაწილეობას ინტერესთა გამოხატვაში, რომელიც 2014 წელს იყო გამოცხადებული, თუმცა საბოლოო წინადადება ამ ჯგუფს არ წარუდგინა და საბოლოოდ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმში“ გახდა გამარჯვებული“.

ახალ ტენდერში მისი მონაწილეობის ინტერესის გამოხატვის შესახებ მას არაფერი სმენია.



ქალბატონ მაია ცქიტიშვილს ვერ დავეთანხმებით, რადგან:

1. თეიმურაზ ქარჩავას ბიზნეს ჯგუფის კონსორციუმში „ანაკლია ეკო პარკი და პორტი“, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ისეთი კომპანიები, როგორცაა: ამერიკული „Aecom“, ბრიტანული „British Power“ და ჩინური „Power China“ 2014 წელს გამოცხადებულ ტენდერში იღებდა მონაწილეობას და წარადგინა ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია და დაფინანსების გარანტირებული წყაროები, რის საფუძველზეც პროცესის ფინალურ ეტაპზე გავიდა თიბისი კონტი ჯგუფთან ერთად.

ფინალურ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის მაშინდელი წევრების გიორგი კვიციანიშვილის და დიმიტრი ქუმისიშვილის ხაზარაძის კონსორციუმის მიმართ აშკარა პრეფერენციული დამოკიდებულების გამო, სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა „ანაკლია ეკო პარკი და პორტი“ სამართლიანი ტენიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შენიშვნები სახელმწიფოებრივი პირობებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ამ პროექტის განვითარების და დაფინანსების წყაროების ხისტი და არაბანკირებად მოდელს. შესაბამისად, ჩვენი კონსორციუმი იძუ-

ლებული გახდა თავი შეეკავებინა მონაწილეობა მიეღო სასტარტო ნიშნულშივე წარუმატებლობისათვის განწირული BOT სახელმწიფოებრივი სამართალ-ურთიერთობაში.

ზემოაღნიშნული მანიპულაციების შედეგად, სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა თიბისი კონტი ჯგუფი, იგივე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმში“, რომელსაც არც დაფინანსების გარანტირებული წყაროები გააჩნდა და არც სტრატეგიული პარტნიორები ყავდა, რაც დღევანდელი დადასტურებულია.

2. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (მაშინდელი მინისტრი — ალავეიძე) ანაკლიის პროექტი კვიციანიშვილის ხელი-სუფლების მიერ გადაეცა ტენდერ-

ქსთან და შეაფასონ კონკურენტ კონსორციუმების მიერ ტენდერის ფინალურ ეტაპზე წარდგენილი დოკუმენტები.

ამ დოკუმენტაციით შესაძლებლობა გექნებოდათ, შეაფასოთ, პროცედურულად როგორ მიმდინარეობდა „ანაკლია პორტის“ ტენდერის გამარჯვებულის გამოსავლენად და რა კრიტერიუმით მიენიჭა ხაზარაძის „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ გამარჯვებულის სახელი.

ჩვენთვის ცნობილია აღნიშნული პროცედურების მანკიერი მხარეების შესახებ და საქმეზე ტენდერის დასრულების და კანონიერების დადგენის მიზნით მზად ვართ ინტერესთა გამოხატულების ყველა სტადიაზე წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები მივაწოდოთ ქ-ნ მაია ცქიტიშვილს, შესაბამისი განმარტებებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციით ქალბატონი მინისტრი სავესებით დარწმუნდება, რომ:

კონსორციუმში „ანაკლია ეკო პარკი და პორტი“ სრულ მზადყოფნაში იყო „ანაკლია პორტის“ მშენებლობისა და მისი სრული დაფინანსებისთვის, ყოველგვარი სახელმწიფოს ფინანსური და ტვირთების გარანტიების გარეშე და ამიტომაც ვითხოვთ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ უკანონოდ წართმეული ქარჩავას კომპანიის შპს „ანაკლია პორტის“ საკუთრებაში არსებულ 2100 ჰა მიწის ნაკვეთის დაბრუნებას სახელმწიფოსგან იმ პირობით, რომ ამ მიწის ნაკვეთებზე აშენდება ანაკლიის ზონისათვის მისაღები კონცეფციითა და პროექტით ღრმადწვდომი პორტი თავისი ინფრასტრუქტურით, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. რაც, კატეგორიულად გამორიცხავს პორტის მშენებლობას იმ ადგილზე, სადაც „ანაკლიის განვითარების კონსორციუმში“ 100 ჰექტარ ტერიტორიაზე, 8 მეტრი სიმაღლის, 5 მილიონი კუბური მეტრი ქვიშის ზეგანი წარმოშვა და მისი შემდგომი, უპროექტო და უკონტროლო განვითარება, გარდაუვალ კატასტროფას უქადის ადგილობრივ მოსახლეობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ:

ზემოაღნიშნული 2100 ჰა მიწის ნაკვეთი, როგორც ხშირად ხდება საქართველოში, თეიმურ-



რაზ ქარჩავას კომპანიას ერთ ლარად არ გადასცემია, არამედ იგი შექმნილ იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის დადგენილების საფუძველზე და შპს „ანაკლია პორტი“ სახელმწიფოს გადაუხადა იმ პერიოდისათვის მისი სრული ღირებულება 7.5 მილიონი ლარი (კურსით 1,6 აშშ დოლართან მიმართებაში).

საოცარია საქმის შემდგომი განვითარება:

საკაშვილის ხელისუფლებამ, თეიმურაზ ქარჩავას კომპანიას, საკუთრებაში არსებული 2100 ჰა მიწის ნაკვეთის წართმევა არ აკმარა და 2012 წელს ეს მიწის ნაკვეთები მის მიერ სახელდახელოდ შექმნილ კომპანია „ლაზიკა პორტს“ გადასცა, უფრო მეტიც, სააკაშვილის ხელისუფლებამ ქარჩავას კომპანიის „ანაკლია პორტის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა სასამართლოში 102 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით დაჯარიმების მოთხოვნით ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის მოტივით (სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა 2012–2015 წლებში), უნდა აღინიშნოს, სასამართლოს სამივე ინსტანციის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ:

კვირიკაშვილი-ქუმისიშვილი სასამართლოს სხდომებზე, როგორც სააკაშვილის რეჟიმის ჩვეულებრივი სამართალმემკვიდრეები, გამოდიოდნენ და უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, დაფინანსებით ითხოვდნენ თეიმურაზ ქარჩავას კომპანიის „ანაკლია პორტის“ 102 მილიონი აშშ დოლარი

დაჯარიმებას. სასამართლომ ეს მოთხოვნა უსამართლოდ ჩათვალია.

და ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ:

„ანაკლია ეკო პარკი და პორტი“-ს კონსორციუმში მის ამერიკულ, ბრიტანულ და ჩინულ პარტნიორებთან ერთად, კვლავ მზადაა მონაწილეობა მიიღოს პორტის მშენებლობაში, თუ კი საქართველოს მთავრობის მხრიდან შემოთავაზებული იქნება, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ინვესტორისთვის მისაღები პირობები. ამასთან, ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა: თეიმურაზ ქარჩავას მიმართ სამართლიანობის აღდგენა და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ უკანონოდ წართმეული 2100 ჰა მიწის ნაკვეთის შპს „ანაკლია პორტი“-სთვის დაბრუნება იმ პირობით, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ანაკლია ეკო პარკი და პორტის“ კონსორციუმის ამერიკულ, ბრიტანულ და ჩინულ წევრებთან ერთად აშენდება ანაკლიის პორტი, ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, სახელმწიფოსთვის ფინანსური გარანტიების მოთხოვნის გარეშე.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია:

ბატონი თეიმურაზ ქარჩავას ბიზნეს ჯგუფს, ინტერესი ანაკლიის პორტის განვითარების მიმართ გამოხატული აქვს ჯერ კიდევ 2003 წლიდან. სწორედ ამ პერიოდისაა, შპს „ანაკლია პორტი“-ს ბიზნეს ჯგუფის მიერ განხორციელებულია სოლიდური ინვესტიციები ანაკლია პორტის განვითარებისათვის და ამ პერიოდისაა, როდესაც პორტის განვითარების კონცეფციას, რასაც ადასტურებს მაღალ პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ანაკლიის პორტის დეტალური პროექტი, განხორციელებადობის კვლევა (feasibility study), ასევე სხვადასხვა სახის კვლევები. რომელთა საჯარო განხილვა, შესაძლებელია პირველივე მოთხოვნისთანავე.

პატივისცემით,

მიხეილ ბუზარიაშვილი
კონსორციუმ „ანაკლია ეკო პარკი და პორტის“ ადვოკატი



თუ საბუღლოს არ უღალატებ, მოგკლავენ!

ქართველი დისიდენტი და ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა

სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კავკასიელი ლიდერებისგან განსხვავებით, მერაბ კოსტავას არასდროს სცემია საბჭოთა ოფიცრის მუნდირი უმაღლესი წოდების სამხრებით და არც საქართველოს დამოუკიდებლობისა თუ ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა მოუნანიებია როდისმე. ბატონ მერაბს ამ ლიდერებთან საერთო მანცაქვს, სავარაუდოდ, ისიც საბჭოთა სპეცსამსახურების დაგეგმილ-შესრულებულ აქციას ემსხვერპლა. 1989 წელსაც და დღესაც აცხადებენ, განსაკუთრებით შსს-ს პროფესიონალი კადრები, რომ მერაბ კოსტავა მოკლეს.




მერაბ კოსტავა დაიბადა 1939 წლის 26 მაისს თბილისში. იგი იმ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო 80-იან წლებში, რომელსაც საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა უნდოდა. მერაბი 1946 წელს თბილისის №1 სკოლაში შეიყვანეს, სადაც გაიცნო ზვიად გამსახურდია. მას კარგი მუსიკალური მონაცემები აღმოაჩნდა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში გადაიყვანეს, თუმცა მეგობრობა არ შეწყვეტილა. 1954 წელს ზვიადმა და მერაბმა იატაკქვეშა ახალგაზრდული ორგანიზაცია „გორგასლიანი“ დააფუძნეს. 1956-58 წლებში ამ ორგანიზაციის წევრები ლიდერების ჩათვლით, ანტისაბჭოთა მოქმედების გამო, სუკ-მა (კავებე) დააპატიმრა. 1956 წლის დეკემბერში კოსტავას მიმართ, სს-ის საქმე ორი ბრალდებით აღძრეს, ერთ-ერთი ბრალდება იყო ანტიკომუნისტური ლიტერატურისა და პროკლამაციების გავრცელება.

1958 წელს მან სკოლა დაამთავრა თბილისის კონსერვატორიაში ჩააბარა, რომელიც 1962 წელს დაამთავრა. 1962-77 წლებში, იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მუსიკალურ სკოლასა და სასწავლებელში. 1973 წელს მან ზვიად გამსახურდიასთან ერთად დააარსა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, სამი წლის შემდეგ კოსტავას მონაწილეობით დაარსდა ჰელსინკის ჯგუფი, რომელსაც 1989 წლიდან საქართველოს ჰელსინკის კავშირი დაერქვა. 1975 წელს იგი „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრიც გახდა. 1977 წელს, კოსტავა და გამსახურდია დააპატიმ-

რეს, გამსახურდია ოფიციალური მონაწილეების შემდეგ შეიწყალეს, კოსტავამ კი ციხეში მოიხადა საპატიმრო სასჯელი, რომელიც ადგილზე ორჯერ გაუგრძელეს. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ მას სამი წლით პატიმრობა და ორი წლით გადასახლება მიუსაჯა, პატიმრობა პერმის ბანაკებში მოიხადა, გადასახლება ირკუტსკის ოლქში. 1982 წელს ირკუტსკის ოლქის სასამართლომ, ზულიგნობის ბრალდებით მას ხუთი წელი მიუსაჯა, 1985 წელს კი, ანგარის სასამართლომ გადასახლებიდან გაქცევისთვის, სამწელიწადნახევრით პატიმრობა დაუმატა და სამთვინი გადასახლება მიუსაჯა.

1978 წელს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია აშშ-ის კონგრესმა ნობელის პრემიაზე წარადგინა, თუმცა ამ აღიარებას მისთვის სასჯელი არ შეუშლუბებია. ბატონი მერაბი 1987 წელს დაგათავისუფლდა, ისიც ასე ვთქვათ, საყოველთაო ამნისტიის

შედეგად, რაც გორბაჩოვისეულ „პერესტროიკას“ მოჰყვა. იგი 1987 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეწყალებული იქნა. ამის შემდეგ იგი ჟურნალ „ბალავერში“ (ყოფილი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“) მუშაობდა. 1988 წელს, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია. მერაბ კოსტავა აპირებდა თავად ეთარგმნა სახარება ქართულ ენაზე. მერაბ კოსტავა იყო მრავალი საპროტესტო გამოსვლის ორგანიზატორი, მათ შორის, 9 აპრილის დემონსტრაციის თბილისში, რომელიც საბჭოთა ჯარისკაცებმა სასტიკად დაარბიეს, წერს რუსული მედია. იგი, როგორც ამ აქციის ორგანიზატორი, დარბევისთანავე დააპატიმრეს საბჭოთა მებრძოლებმა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის გამო, მალევე გაათავისუფლეს. იყო იატაკქვეშა გაზეთის „ოქროს საწმისი“ ერთ-ერთი გამომცემელი, რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორი. იგი აქტიურად ურთიერთობდა ცნობილ დისიდენტ ანდრეი სახაროვთან. 1989 წლის 13 ოქტომბერს, მერაბ კოსტავა გაურკვეველ ვითარებაში, ოფიციალური ვერსიით, ავტოავარიაში დაიღუპა ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან. წლების შემდეგ (ნაციონალების მმართველობის დროს), გამსახურდიას მთავრობის თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ მერაბ კოსტავას სიკვდილში, ეღუარდ შევარდნაძის ხელი ერია. ის ავტომანქანა („ნივა“), რომლითაც კოსტავა დასავლეთ საქართველოში მიემგზავრებოდა, თბილისში განზრახ დაახინანეს, გადაჭრილი იყო სამუხრუჭე შლანგი. კიტოვანმა აღნიშნა, რომ კოსტავა იმ ინექციით გარდაიცვალა, რომელიც ცენტრალურ ავტომგისტრალზე „გამოცხადებულმა“ ე.წ. თეთრხა-



ლათიანმა ექიმებმა გაუკეთეს. ამ განცხადებიდან ერთი წლის შემდეგ, კოსტავას გარდაცვალების დღეს მისი სახლმუხეუმის ეზოში შეკრებილმა გამსახურდიას ათეულობით მომხრემ განაცხადა, რომ მათ არ სჯერათ ბატონი მერაბის გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის. კიტოვანმა რიტორიკული კითხვა დასვა, საინტერესოა, შევარდნაძე თავის მემუარებში იმ ავტოკატასტროფების შესახებ თუ წერს, რომლის მოწვობის „დიდოსტატ“ იყო. სხვა ავტოავარიების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში, აქტიურად დადიოდა ხმები მთელ საქართველოში, რომ იმ ავტოავარიის „შემოქმედი“, რომელსაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე ემსხვერპლა, საქართველოს მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ეღუარდ შევარდნაძე გახლდათ.

ის გარემოება, რომ შევარდნაძე იმ პერიოდში სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო „ნავსაყუდელი“ კრემლის სი-ახლოვეს ჰქონდა, ბევრს არაფერს ნიშნავს, ამას კიტოვანიც ადასტურებდა, მოსკოვიდან



განაგრძობდა საქართველოში პროცესების მართვას, ყველაფერი მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა. 9 აპრილის ტრაგედიაშიც რომ შევარდნაძის ხელი ერია, ეს არაერთხელ თქმულა. შევარდნაძე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ოფიციალურად არ გასაჯაროებულა, ვის შეხვდა წინა დღეს საიდუმლოდ, მოსკოვიდან ჩამოფრენილ თვითმფრინვაში „მამადუდ“ მონათლული საქართველოს კავებეს შევი, ამ ტრაგედიის შემდეგ კი, გაპირველკაცებული გივი გუმბარიძე. „ავი ენები“ კი ამბობდნენ, გივია-ჩეკისტი „დიდ“ პოლიტიკოს ედიკა-მამათელს ხვდებოდა, მაგრამ ამას ოფიციალური დადასტურებაც ჭირდება. კიტოვანი იმ ავტოავარიას წმინდა წყლის მკვლელობად აფასებს. 1990 წელს, როცა ხელისუფლებაში მოვედით, გავეცანი ამ საქმეს და ჩემთვის ბევრი რამ გახდა ნათელი. თამარ ჩხეიძის კუთვნილ „ნივაზე“, რომელსაც ამ მგზავრობისას თავადვე მართავდა, თბილისში „წაიმუშავეს“, გადაჭრეს სამუხრუჭე შლანგი, ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ მძღოლმა ვერაფერი შენიშნა. დიდი სიჩქარით მიმავალ ავტომანქანას მკვეთრი დამუხრუჭება როცა უწევს, ამას ვერ ახერხებს და ხდება ავტოავარია, მით უმეტეს „ნივა“ ისეთი მანქანაა, გამორიცხულია, ასეთ დროს არ გადაბრუნდეს, ან რაიმეს არ შეეჯახოს. საუკუნე ნაწილზე არავითარი პირუტყვი არ ყოფილა, მოსახვევთან ჩასაფრებული იყვნენ და ბორბალი გადმოაგორეს. ჩხეიძემ მკვეთრად დაამუხრუჭა, მაგრამ სამუხრუჭე სისტემაში არ იმუშავა და ავტომანქანა გადაბრუნდა. საგზაო შემთხვევის შემდეგ სამივე ცოცხლები იყვნენ, კოსტავასა და ჩხეიძისთან ერთად იყო ეროვნული მოძრაობის წევრი ზურაბ ჭავჭავაძე. კიტოვანის განცხადებით, შემ-

თხვევის ადგილზე მოულოდნელად „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოჩნდა, როდისმე გინახავთ შუალამისას ტრასაზე ასეთი მანქანაო. ეს მართლაც იშვიათი შემთხვევაა. ის უკან მოყვებოდა „ნივას“, რომლიდან გადმოსულმა ექიმებმაც გაურკვეველი შიგთავსის ნემსი გაუკეთეს მერაბ კოსტავას.

მერაბ კოსტავას გონება არ დაუკარგავს, როგორც ამბობდნენ, ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა. კიტოვანის ვერსიით, მან წინააღმდეგობა გაუწია საეჭვო წარმომავლობის მედიკოსებს, არ ანებებდა ნემსის გაკეთებას. ამ ავარიას სამეგრელოდან მომავალი ახალგაზრდები შეესწრნენ, ისინი მომიყვინენ, რომ საკუთარი თვალთნახვით როგორ გაუკეთეს მერაბს ნემსი, რის შემდეგაც ერთი ამოიკენესა და გარდაიცვალაო. ვინ იყვნენ ეს „ექიმები“, ნამდვილად მედიკოსები იყვნენ თუ კაცებს თანამშრომლები, ამის შესახებ ძიების მასალებში არაფერი ყოფილა ნათქვამი. ზურაბ ჭავჭავაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს, იგი უკვე გამოსული იყო რთული მდგომარეობი-



დობრივი გზით ჩამოაცილეს, რაც შეეხება ზურაბ ჭავჭავაძეს, იგი საავადმყოფოში იწვა, როცა უკვე გამოჯანმრთელდა, მაშინ გაუკეთეს მომაკვდინებელი ნემსიო. „მერაბის სიკვდილი შევარდნაზე აწვობდა, ეს დაეხმარა თავისი გეგმების განხორციელებაში. მერაბის გარეშე დარჩენილ ზვიადზე ადვილად გაიმარჯვეს შევარდნაქმ და ზვიადის საეჭვო გარემოცვამ, მერაბი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ზვიადს ამდენ ნაძირალას ვერ შეუგზავნიდნენ და სისხლისღვრას თავიდან ავიცილებდით. ჩვენს შორის შერიგება მოხდებოდა. ჩვენი „წითელი ინტელიგენცია“ მთლიანად იყო დაკავშირებული შევარდნაქმთან და მისი მხრიდან განხორციელდა დიდი ზეწოლა. ხელისუფლებაში რომ მოვედით, ზვიადს ჯერ კიდევ არ ეჯერა, რომ შევარდნაქმე საქართველოს გაწირავდა“, აცხადებდა კიტოვანი.

წინამდებარე სტატიას როცა ვამზადებდი, ძალიან სტრუქტურების იმ თანამშრომლებსაც გავესაუბრე, რომლებიც 80-იან წლებშიც მუშაობდნენ შესაბამის უწყებებში. მათი განცხადებით, კოსტავასა და ჭავჭავაძეს ისეთი დაზიანებები არ მიუღიათ, რომ დაღუპულიყვნენ, მით უმეტეს ადგილზე. ჩვენ ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, რომელიც ჩვენმა პროფესიონალმა ვეტერანებმა მოგვაწოდეს, მაგრამ მკითხველს მაინც გვინდა მივაწოდოთ, კოსტავასთვის არაერთი ინექცია არ გაუკეთებიათ, მითუმეტეს ამას ვიდაცების დასანახად არ გააკეთებდნენ. ვითომდა ავარიის შედეგად დაზიანებულების თბილისში გადმოსაყვანად, იქ ვერტმფრენი გააგზავნეს „შესაბამის“ პერსონელიანად, მათ ვერტმფრენის სალონში დაახრჩეს ბატონი მერაბი, რომელსაც დაზიანება ფაქტობრივად არ ჰქონდა, უბრა-

ლოდ შოკში იქნებოდა ავტოავარიის გამო. რაც შეეხება ზურაბ ჭავჭავაძეს, ანონიმი რესპოდენტების განცხადებითაც, მოგვიანებით მართლაც გაუკეთეს სასიკვდილო ინექცია. უშიშროების სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროსაც საპასუხისმგებლო თანამდებობა, კერძო საუბარში მითხრა, იმ სახელმწიფო ლიდერს, რომელიც სამშობლოს არ ღალატობს, ეროვნული ღირებულებებს სცემს პატივს, ტრადიციების დამცველია, მსოფლიო „მამები“ ამას არ პატიობენ. მერაბ კოსტავა სახელმწიფოს პირველი პირი არ ყოფილა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული არც მას აპატივსო. ზვიად გამსახურდია, სადამ ჰუსეინი, მუამარ კადაფი, სალვადორ ალიენდე, დედა-შვილი განდები, ჯონ კენედი და ა.შ. იმიტომ დასაჯეს, რომ საკუთარ სამშობლოს არცერთა არ უღალატა. პოლიციის ვიცე-პოლიკონიკ დავით გაგინძის განცხადებით, გამოცდილ, მაღალი დონის პროფესიონალ ჩეკისტებს, რომლებიც დამწყვდობდნენ სამართალდაცავებს ზრდიდნენ, მათთვის არაერთხელ უთქვამთ, რომ ჯონ კენედი სპეცსამსახურებმა შეიწირეს. საბჭოთა სამართალდამცავებს ვინ ჩართავდა აშშ-ის პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებაში, მაგრამ ჩვენ ისედაც მკვლელებს და მკვლელობის მიზეზიც, ჯონ კენედიმ როგორც კი დასვა კითხვა, ვის და რომელი ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა ცერეუ (აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო), მოკლე ხანში დალასის ცენტრში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა და ეს საქმე ლამის ექვსი ათეული წლის შემდეგაც არ გახსნილა.

მანანა სუსიოვილი
599 51 28 24

პატარა კასი

გიორგი მარგველაშვილი ბრუნდება, მაგრამ საიდან ბრუნდება და სად, ამას არ აზუსტებენ.

ეტყობა, დუშეთიდან ბრუნდება თბილისში, თორემ პოლიტიკიდან წასული პოლიტიკაში ბრუნდებაო, ვერ იტყვი, რადგან ეს კაცი პოლიტიკაში არასოდეს ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი იყო და მორჭმით იჯდა სააკაშვილის დანატოვარ სასახლეში, პოლიტიკოსი მაინც არ ყოფილა — ავლადობის სასახლის მდგომარი იყო 5 წლის განმავლობაში და კომუნალურ თუ სხვა სახის გადასახადებს ჩვენ ვუხდიდით, ის კი ნარკომანების თუ სხვა წვრილმან-მსხვილმანი დამნაშავეების შეწყალება-გათავისუფლებით ირობდა თავს.

როგორც გაირკვა, მარგველაშვილმა თავისი პრე-

სექსსაც, ვისკის და კონიაკის წრუპვასაც, საზღვარგარეთის ქვეყნებში ვოიაჟებსაც, კარტოფილის დარგვასაც, ვეტოების დადებასაც, ბავშვების კეთებასაც და ყველაფერ ამას დამატებულად, პოლიტიკოსობასაც. კაცი კი არა ფენომენია, ეს ჩვენი მარგველაშვილი.

რაც შეეხება დაბრუნებას, თუ მაინცდამაინც უნდა დაბრუნდეს მარგველაშვილი, ისევე და ისევე თავის ბოკერასთან, თავის ბურჯანაძესთან, თავის უსუფაშვილთან, თავის ხაზა-



ზიდენტობის პერიოდში ანუ 5 წლის განმავლობაში 3600 პატიმარი შეიწყალა.

წელიწადში, მოგეხსენებათ, 365 დღეა. 355 რომ გავამრავლოთ ხუთზე უდრის 1825-ს.

გამოდის, რომ მარგველაშვილი დღეში ორ პატიმარს იწყალებდა.

სასწაული არ არის? დღეში ორი კაცი რომ შეიწყალო, ორ საქმეს ხომ მაინც უნდა გაეცნო, შეისწავლო, შეაფასო, დაფიქრდე — შეიძლება თუ არა ამ ადამიანის თავისუფლებაზე გამოშვება და ამის შემდეგ უნდა მიიღო გადაწყვეტილება.

სხვა რომ არაფერი აკეთო, ამას იმდენი დრო სჭირდება, რომ შეუძლებელია გასწვდე.

მაგრამ მარგველაშვილი იმდენად უნარიანი კაცია, რომ ამ ორი კაცის შეწყალება-საც ასწრებდა, მდიდრულ

რამესთან დაბრუნდება ალბათ, თუმცა მათგან არც არასოდეს წამოსულა — მაშინაც კი, როცა „ქართულ ოცნებაში“ იყო, სული მათთან ედგა და კუდიც მათთან ჰქონდა გადაფსკვნილი.

გიორგი მარგველაშვილს გაპრეზიდენტებისთანავე დაავიწყდა რა ამაგი მიუძღოდა ბიძინა ივანიშვილს მის გაპრეზიდენტებაში და იმის მტკიცება დაიწყო, რომ ქართველმა ხალხმა მისი ღირსებების და ავტორიტეტის გამო აირჩია პრეზიდენტად და არა ივანიშვილის თხოვნით და ხათრით.

პატარა კაცი აღმოჩნდა ტანით დიდი გიორგი მარგველაშვილი, პატარა კაცი კი გინდ წასულა, გინდ დაბრუნებულა — მაინც პატარა კაცად დარჩება...

დავით ქავთარია



დან, გამოჯანმრთელება დაიწყო, როცა მოულოდნელად გარდაიცვალა. მაშინ ძალიან აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ ზურაბ ჭავჭავაძე მოწამლეს, რადგან მისი გადარჩენა მავანთ არ აწვობდათ. კიტოვანის აზრით, მერაბ კოსტავა იმიტომ მოკლეს, რომ ზვიად გამსახურდია მართლ დაეტოვებინათ, მერაბის სიკვდილი ეროვნული მოძრაობისთვის დიდი დანაკარგი, შოკი იყო. მერაბი ცოცხალი რომ ყოფილიყო, შესაძლოა არ მომხდარიყო ის ტრაგედია, რომელიც სამწუხაროდ მოხდა და რომლის მონაწილე მეც გავხდი, აღნიშნავს კიტოვანი. იგი დარწმუნებული იყო, რომ ზვიადს მერაბი ძალა-



რეპორაჟი „წმინდა სესხლის მიწიდან“

7 თებერვალს აზერბაიჯანში წინასაარჩევნო კამპანია დასრულდა.

8 თებერვალს, ე.წ. სიჩუმის დღეს, აზერბაიჯანს ვესტუმრე.

აზერბაიჯანელები საუკეთესო მასპინძლები და მეგობრები არიან...

9 თებერვალს აზერბაიჯანის მილი მეჯლისის არჩევნებია და სიჩუმის დღეს ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებთ.

ჩვენს მასპინძელს ჯავედ-ალას ეთნოგრაფიულ მუზეუმში მივყავართ.

აზერბაიჯანელები ამყოფენ თავიანთ წარსულით და სასოებით უფრთხილდებიან თითოეულ ექსპონატს, ქვას, თიხას, რომელიც მათ ისტორიას ცხადყოფს.

ვრცელ მინდორზე გადაშლილ სამუზეუმო ტერიტორიაზე დგას ძველი ისტორიული ხასიათის სახლები, მიწის ქოხები მომთაბარე მწყემსებისთვის, ხილის, თაფლის, რძის და რძის ნაწარმის შესანახი ქვევრები და ა.შ. სასიამოვნოდ მოსაუბრე აზერბაიჯანელი ქალბატონი დეტალურად ხსნის ძველი აზერბაიჯანული ყოფის დეტალებს და განსაკუთრებით ოჯახურ ტრადიციებს

სამუზეუმო კომპლექსში დაცული ექსპონატებიდან ჩემი ყურადღებას იპყრობს ბორჯღალი და ჯვარი, რომელიც ქვის ფილებზეა გამოსახული. მუზეუმის თანამშრომელმა ქალბატონმა ბორჯღალი შხის გამოსახულებად გაგვაცნო, ხოლო ჯვრის გამოსახულებები უბრალო ორნამენტებად...

ათეშგიაგი აზერბაიჯანის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

ის გახლავთ ცეცხლთაყვანისმცემლობის ტაძარი, რომელიც ბაქოდან 30 კმ. დაშორებით სურაჰანების რაიონში მდებარეობს და სხვადასხვა დროს ზოროასტრისტების, ინდუისტებისა და სიკხების თავყვანისცემის ადგილად ითვლებოდა.

პრინციპში, დღესაც ასეა. თუმცა ტაძარი უმოქმედოა, იქ უამრავი ინდუსი დამთვალიერებელი და მომლოცველი დადის ახლაც.

ტაძარი აბრეშუმის გზით მიმავალი ინდოელი ვაჭრების შემოწირულობებით XVII-XVIII ს-ში შექმნილა ბუნებრივი გაზის მიწიდან ამოხეთქვის ადგილას. ამის გამო ეწოდება სატაძრო კომპ-



ჩერდებოდნენ თურმე მე-17-18-ს-ში. აქ იგრძნობოდა თურმე მაშინ ამ ქვეყნის ხასიათის და კულტურის მაჯისცემა.

9 თებერვლის დილა აზერბაიჯანში თოვლის, წვიმის და ქარბუქის თანხლებით გათენდა. ქუჩებში სიწყნარე და სტაბილურობა თვალშისაცემი იყო ქართული არჩევნების ვნებათაღელვების, შეხლა-შემოხლისა და

მკლავის გადაგრევის გამოცდილების მქონე ქართველებისთვის.

ქალაქში ბევრ ადგილას ფართო ბანერებზე არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ფოტოები, სახელები და გვარები და საარჩევნო ნომრები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოხსნილი, თუმცა, როგორც გითხარით, აგიტაცია 8 თებერვალს უკვე დასრულებული ჰქონდა...

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში 2019 წლის ბოლოს, მას შემდეგ დაინიშნა, რაც მმართველი პარტიის „ახალი აზერბაიჯანის“ („ენი აზერბაიჯან“) ინიციატივით, პარლამენტმა თვითდათხოვნა გამოაცხადა.

აზერბაიჯანის მილი მეჯლისი 125 დეპუტატისგან შედგება.

ამ არჩევნებზე კანდიდატების რეკორდულად დიდი რაოდენობა — 1300 დეპუტატობის მსურველი დაფიქსირდა.

როგორც გვითხრეს, დამოუკიდებელი და ოპოზიციური კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებში აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა თაობა.

„ამ არჩევნებამდე არასდროს მინახავს ამდენი ახალგაზრდა,

რომლებსაც დამკვირვებლობა სურდათ. 29 უბანზე უკვე 60 ოფიციალურად დარეგისტრირებული დამკვირვებელი გვყავს“, — აცხადებდა დაურეგისტრირებელი ოპოზიციური პარტიის „რესპუბლიკური ალტერნატივის“ მმართველობის წევრი ერკინ გაღირლი, რომელიც თავად იყრიდა კენჭს დამოუკიდებელ კანდიდატად.

უბნებზე არჩევნების დღეს მართლაც საოცარი სიმშვიდე იყო. მოდიოდნენ დინჯად, აძლეოდნენ ხმას, მერე დგებოდნენ შემოსასვლელთან, საუბრობდნენ და წყნარად მიდიოდნენ. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, უბნებზე ამომრჩეველზე მეტი ადგილობრივი ოპოზიციონერი და მმართველი პარტიის მხარდამჭერი დამკვირვებელი იყო, მათთან ერთად უცხოელი მოთვალთვალებიც — მექსიკიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ტაივანიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, ბულგარეთიდან, საქართველოდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. იყო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ბიუროს მისიის წარმომადგენლობა, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებლები, რომლებიც



უსვამს ხაზს. იგი ჰყვება, რომ აზერბაიჯანული ოჯახების უმრავლესობაში შენარჩუნებულია ტრადიციები, ოჯახებში დღესაც მთავარია მამაკაცის როლი. როცა კაცი შემოაბიჯებს სახლის ზღურბლს, ქალი ერთი ნაბიჯით უკან იხევს, თავს უხრის მას და თვალელებში პირდაპირ არ უყურებს. — ამბობს ქალბატონი.


დღემდე მყარია ოჯახის კულტი აზერბაიჯანში, ოჯახის, რომელზეც დგას საერთოდ, სახელმწიფო და რომლის განადგურებით და მოშლით იწყება სახელმწიფოს და ქვეყნის რღვევა...

მუსულმანური რელიგიის ქვეყნებში, ზოგადად, ტრადიციული ოჯახის კულტი უფრო მყარია და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესეც არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მუსულმანური ქვეყნების ძლიერების.

ლექსს ათეშგიაგი, რაც, თურმე, ცეცხლის ადგილს ნიშნავს და, აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანსაც „წმინდა ცეცხლის მიწას“ უწოდებდნენ ძველთაგან.

ათეშგიაგში ასკეტურად მცხოვრები ინდოელი და სხვა ცეცხლთაყვანისმცემელი მომლოცველები მორწმუნე ვაჭრების შემოწირულობებით ცხოვრობდნენ, ეწეოდნენ მედიტაციას, ლოცულობდნენ და მაგიით იყვნენ დაკავებული. სიკვდილის შემდეგ კი მათ სპეციალურ ორმოში წვავენ, რადგან მიიჩნეოდა, რომ მიწა, საიდანაც ცეცხლი მუდმივად მოედინებოდა, წმინდა იყო და ის მკვდარი სხეულით არ უნდა შებილწულიყო.

ფრანსუა გამბა, ალექსანდრე დიუმა (მამა), რუსი მოგზაურები სწორედ ათეშგიაგის ბალახანაში, ანუ სასტუმროს ტიპის სახლებში



ათეშგიაგი



ვაჰრაჰი ათეჰგიაგჰი



ასკატი ათეჰგიაგჰი

აცხადებდნენ, რომ არჩევნები სრულად დემოკრატიულ ვითარებაში არ ჩატარებულა.

„უკვე დიდი ხანია მივეჩვიეთ უარყოფით აზრს. მათი დასკვნები, ზოგიერთ შემთხვევაში, წინასწარ იწერება. თანაც არა თავად მათ მიერ, არამედ სხვაგან, სხვა ადგილებში... ჩვენ ეს არაერთხელ გვინახავს.

ევროპის საბჭოს ჩვენდამი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენც აღვნიშნეთ“, — თქვა ნეგატიური გამოხმაურებების კომენტარებისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, რომელიც თითქმის ყველა აზერბაიჯანელის პირდაპირი ბელადია. ისინი თვლიან, რომ გარშემო, მეზობლებში, მსგავსი ლიდერი, როგორც იყო ჰეიდარ ალიევი და როგორც არის თავად ილჰამ ალიევი, ჯერ არ დაბადებულა და შეიძლება კაცმა იფიქრო, რომ ასეც არის, რადგან ბოლო წლებში ვერც ერთმა სახალხო ლიდერმა ისე ვერ შეაყვარა ხალხს თავი და ისე ვერ დაიცვა და ააღორძინა ქვეყანა, როგორც მამა-შვილმა ალიეებმა გააკეთეს ეს...

როგორ და რანაირად მოახერხეს ამის გაკეთება, ეს სხვა

საუბრის თემაა...

2019 წლის ბოლოს პრეზიდენტის პარტია „ახალი აზერბაიჯანი“ მილი მეჯლისის დათხოვნისა და ახლის არჩევის ინიციატივით გამოვიდა — ახლანდელი პარლამენტის შემადგენლობა პრეზიდენტის პოლიტიკას არ შეესაბამებო. პარლამენტი, ფაქტობრივად, ერთხმად დაეთანხმა საკუთარ დაშლას.

არჩევნები 2020 წლის ბოლოს მაგივრად დასაწყისში გაიმართა. აზერბაიჯანის ეროვნული ასამბლეა, იგივე მილი მეჯლისი — ერთპალატიანი პარლამენტი, ხუთ წელიწადში ერთხელ 125 დეპუტატს ირჩევს მაჟორიტარული სისტემით, თითო ადამიანს 125 ოლქიდან.

მილი მეჯლისის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა შეუძლია.

მეჯლისის წევრის ხელფასი 1000 დოლარი და მნიშვნელოვანი პრივილეგიებია.

წლებადნელ არჩევნებში ოპოზიციის განსაკუთრებული აქტივობა შეინიშნებოდა. სამოქალაქო აქტივისტები აცხადებდნენ, რომ მათთვის მაგალითი იყო მეზობელი ქვეყნების გამოცდილებები,

კერძოდ, უკრაინის, საქართველოს და სომხეთის.

მილი მეჯლისის არჩევნებმა აზერბაიჯანში მშვიდობიანად ჩაიარა და პარლამენტში უმრავლესობა კვლავ „ახალი აზერბაიჯანის“ („ენი აზერბაიჯანის“) წევრებმა და მათ მიმართ ლოიალურად განწყობილმა ძალებმა დაიკავეს.

სტუმრებმა ნელ-ნელა დატოვეს ბაქო.

აეროპორტში უკრაინელ ქალბატონს შეეხვდა.

„ერთი კვირაა, რაც ბაქოში ვიმყოფები.

ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, ლამაზი, კოლორიტული, სტუმართმოყვარე ხალხით. შესანიშნავი მასპინძლები არიან, თვალეში გიყურებენ, რომ გასიამოვნონ, დაგასაჩუქრონ, გაგახარონ. კმაყოფილი მივდივარ აქედან, მაგრამ თბილისი სულ სხვაა, საქარ-



თველოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება“

ესლა მაკლდა. ცრემლები მომდის — გამარცხული, გადარიბებული, სულამოცლილი საქართველო, აყვავებულ და გალალეხულ აზერბაიჯანთან შედარებით როგორ მოსწონს, როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაზე...

დელეგაციამ ბულგარელი ჟურნალისტებიც იყვნენ.

საოცრად დინჯი, პროფესიონალი, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და თავდაჭერილობით გამოირჩეოდნენ ისინი.

ბულგარელ ჟურნალისტთა უმეტესობა საქართველოში იყო ნამყოფი. როგორც კი გაიგეს საქართველოდან ვიყავი — ზვანჭკარა, მუკუზანი, სვეტი-ცხოველი, თვალგაბრწყინებული იბახდნენ ამ სიტყვებს.

თვითონ აზერბაიჯანელებიც, მასპინძლებიც და ისე, ქუჩაში, მაღაზიაში, ან არჩევნებზე შემთხვევით შეხვედრილებიც, როგორც კი გაიგებდნენ საქართველოდან ვიყავით, ილიმებოდნენ და დაუფარავ კეთილგანწყობას გამოხატავდნენ...

შეუძლებელია, ეს მომჩვენებოდა: სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან ასეთი რეაქცია შემხვედრია. გული მწყდება მართლა, ამ ავტორიტეტს ზოგიერთი რომ არ უფრთხილდება და საზღვარგარეთ ქურდობს, მამამძღობს და მაიმუნობს...

სასტუმროში ინდონეზიელი ჟურნალისტი გავიცანი. როგორც კი გაიგო, საქართველოდან ვიყავი: ოო, შე-ვარდ-ნამე, — თქვა და თითი მაღლა ასწია.

ორივეს გაგვეცინა ამაზე. იმდენი პოლიტიკური ქარტეხილები გადაგვხდა შევარდნაძის მერე, ედიკა თუ კიდევ ვინმეს ახსოვდა, აღარ მეგონა.

ბოლო ხანებში რამდენჯერაც საზღვარგარეთ წავსულვარ, ყველა ქვეყნიდან გულდაწყვეტილი ვბრუნდები, რადგან, საქართველოდან განსხვავებით, ყველგან იგრძნობა ეროვნული სიამაყე და თვითმყოფადობის შეგრძნება.

აზერბაიჯანში ყველაფერი წესრიგში, ცხადია, არ არის პოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისით. იქ არის, ალბათ,

კორუფციაც, ნეპოტიზმიც, თანამდებობრივი გულგრილობაც, ერთპიროვნული მმართველობაც, დიას, ალბათ, არის, მაგრამ თითოეული აზერბაიჯანელი მოქალაქისგან იგრძნობა ქვეყნის დაცვის მზადყოფნა. მათ აერთიანებთ აზერბაიჯანული სული და სახელმწიფოებრიობის მძაფრი განცდა. ამ განწყობით ცოცხლობს და ცხოვრობს აზერბაიჯანი და ულამაზესი ბაქო, რომელიც ფენს უწყობს თანამედროვეობას, დღითიდღე ემსგავსება ცივილიზებულ, განვითარებულ ქალაქს ეროვნული არქიტექტონიკით, ახალი მშენებლობებით და თანამედროვე დიზაინით სამხრეთ კავკასიაში.

ირანდა პალანდამი
ბაქო-თბილისი
593 56 11 18

სამი საფრთხე მსოფლიოსთვის

წლებადღე მიუძღვნის უსაფრთხოების კონფერენციას დასწრება, ბევრი ქვეყნის მეთაურმა არ ისურვა, დელეგაციებს საგარეო საქმეთა მინისტრები მეთაურობდნენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციით, ტრადიციულად ამერიკის შეერთებული შტატები იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ აშშ-ს დელეგაცია ორად იყო გაყოფილი. სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს გარდა, მიუნჰენში კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსიც იმყოფებოდა, რომელიც ცდილობდა პომპეოსგან დისტანცირებას. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ში შიდა პოლიტიკური განხეთქილება. აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის კონფერენციაზე არყოფნა გასაკვირია, რადგან გულზე არ ეხატება მსგავსი ღონისძიებები. რაც

შეაფასეს. შტაინმაიერმა აშშ, რუსეთი და ჩინეთი მსოფლიოსთვის საფრთხის მომტან ქვეყნებად დაასახელა. განსაკუთრებით აშშ გააკრიტიკა ბირთვული შეთანხმებიდან ცალმხრივად გასვლის გამო. ზაიკო მასემ კი განაცხადა: „... მსოფლიოში აშშ-ის ჟანდარმობა წარსულს ჩაბარდა“. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია მისი შეფასება იმ დროს, როდესაც იმავე კონფერენციაზე მაიკ პომპეო ევროპის ქვეყნებს მოუწოდებს და მოითხოვს არ შეიძინონ ჩინეთის კორპორაციის „ჰუავეის“ პროდუქტია.

სულიმანის მკვლელობამ სათუო გახდა აშშ-ის რეგიონში ყოფნა“ მისივე თქმით, აშშ-ს ყველაფრის უფლებას არ მისცემენ. დონალდ ტრამპს ურჩია, რომ თავის ადმინისტრაციაში შეარჩიოს და დაუჯეროს ხალხს, რომლებიც კარგად იცნობენ რეგიონს და მით უფრო ირანს. პოლიტოლოგების შეფასებით, მიუნჰენის წლებადღე კონფერენციაზე პოლიტიკოსები მხოლოდ ზოგადად საუბრობდნენ, კონკრეტულად კი არაფერი გადაუწყვეტიათ.



მოულოდნელი აღმოჩნდა რუსეთ-თურქეთის შორის ურთიერთობის გამწვავება. ჯერ კიდევ შარშან თურქეთმა რუსეთისგან შეიძინა საჰაერო დაცვის სისტემები, რის გამოც აშშ-ი მკაცრი სანქციებითაც ემუქრებოდა. წლებულს იანვრის დასაწყისში ამოქმედდა გაზსადენი „თურქეთის ნაკადი“, პრეზიდენტები რეკომენდაციები და ვლადიმირ პუტინი სოჭში შეთანხმდნენ სირიაში ერთობლივ პატრულირებაზე. სულ რაღაც ერთ თვეში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. თურქეთის არმიამ სირიაში შეუტია ბაშარ ასადის სამთავრობო ჯარებს, რასაც ორივე მხარეს მსხვერპლი მოჰყვა. ტერორისტებმა ჩამოაგდეს სირიის ორი სამხედრო ვერტმფრენი. მოვლენამ ექსპერტების გაკვირვება გამოიწვია, საიდან აქვთ ტერორისტებს გადასატანი საზენიტო დანადგარ-

უპასუხოდ არ დავტოვებთ“ — განაცხადა გასულ კვირას ერდოლანმა. ამის შემდეგ რუსეთის ელჩმა თურქეთში მიიღო მუქარის წერილები ანონიმური ავტორებისგან. გასასვენებელია, რომ 5 წლის წინ თურქეთში მოკლეს რუსეთის ელჩი. მაშინ რუსეთმა ვითარება არ გაამწვავა, რადგან პოლიციელებმა დააჩუქმეს ადგილზე გაანადგურეს. მიუნჰენში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მეგლუდ ჩაუშოლდა არწმუნებდა რუს კოლეგა სერგეი ლავროვს, რომ მათი საელჩო საიმედოდ არის დაცული. ამის გარდა ერდოლანმა დაურეკა პუტინს, თუცა საუბრის თემაზე არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

პროცესებში. მოქმედ პირებში არიან მოხსენებული გიჟი სააკაშვილი და მის მიერ კიევში ჩაყვანილი სნაიპერები. ახლა საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები ფილმის ჩვენების შემდეგ. ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება — მხოლოდ ჯო ბაიდენის კი არა, დემოკრატების პოზიციები საკმაოდ შეირყა.

აიოვას შტატის შემდეგ ე.წ. პრაიმერი ნიუგემპრის შტატში გაიმართა. დონალდ ტრამპმა მომხრეებთან შეხვედრა სტადიონზე გამართა. რადგან დარბაზში ვერ დაეტეოდნენ. შტატში მას მხარი ამომრჩეველთა 86% დაუჭირა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. „...ჩვენ უმაღლესი რეიტინგი გვაქვს. მაღლობა ნენსი“ — განაცხადა ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. დონალდ ტრამპმა კვლავ გაკენწა ჯო ბაიდენი. „... როდესაც მან პირველად წამოაყენა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში, „ერთპოცენტიანი ჯო“ შევარქვი. ობამამ იგი სანაკვიდან ამოქექა, თუცა კვლავ ერთი პროცენტი მიიღო“ — განაცხადა ტრამპმა.

ჯო ბაიდენმა პრაიმერში მე-5 პოზიცია დაიკავა, თუცა გამარჯვებას აპირებდა. მარცხით განაწყენებულმა გააუქმა მომხრეებთან შეხვედრა და ერთი დღით ადრე დატოვა შტატი. დემოკრატები საგონებელში არიან საპრეზიდენტო არჩევნებში ვინ დაუპირისპირონ ტრამპს. გავრცელებული ინფორმაციით, დემოკრატები ბაიდენის ჯონ კერი (ყოფილი სახელმწიფო მდივანი) აპირებენ ჩანაცვლებას, რომელსაც აშშ-ი და საერთაშორისო არენაზე მაღალი ავტორიტეტი აქვს. თუცა ბაიდენი ჯერ არ აპირებს ჩამოსცილდეს საარჩევნო პროცესს. დემოკრატებში ამჯერად ბერნი სანდერსმა გაიმარჯვა. ბუტიდჯიში მეორეა. სამაგიეროდ, დონალდ ტრამპი სულ უფრო იმყარებს პოზიციებს და მეორე ვადით გამარჯვებამდე დარწმუნებულია. მას არაფრად მიანია მილიარდერ მაიკლ ბლუმბერგის დემოკრატებისთვის ფინანსური დახმარება. „დახარჯოს 300, თუნდაც 500 მილიონი, ეს წყალში გადაყრილი ფული იქნება, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ“ — განაცხადა დონალდ ტრამპმა მხარდამჭერებთან შეხვედრაზე.



შეეხება რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, შინაური საკითხებით არის დაკავებული. ორი დიდი ქვეყნის მეთაურის არყოფნამ გარკვეულწილად გააფრთხილა კონფერენციის მნიშვნელობა.

ბავარიის დედაქალაქში ყველა დელეგაციის ხელმძღვანელი ცდილობდა თავიანთი ქვეყნების ინტერესების წინ წამოწევას და გატარებას. სხვათა დარდი დიდად არ აწუხებდათ. ამიტომაც მოკავშირე ქვეყნების პოზიციები ზოგჯერ არ ემთხვეოდა ერთმანეთს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა მარკ ესპერმა თალიბებთან დაკავშირებით მოლაპარაკება გამართეს ავღანეთის პრეზიდენტთან. შეთანხმდნენ დროებით ზავზე. მოლაპარაკებისას ასევე შეთანხმდნენ, რომ სამომავლოდ დაიწყებენ ავღანეთიდან ნატოს კოალიციური ჯარების გაყვანის თემის განხილვას. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ზაიკო მასემ მივსალმა ინიციატივას და განაცხადა: „...ავღანეთში აშშ-თან ერთად შევედით და მათთან ერთად გამოვალთ“. სამაგიეროდ ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გამოცხადდა ავღანეთიდან კოალიციური ჯარების არათუ გაყვანას, შემცირებასაც კი.



თის მედია იუწყება, ტრამპი ჯონსონს თითქმის უყვაროდა, ისე ხმა-მაღალ ტონში ელაპარაკაო. ამის გამო ჯონსონმა გადადო აშშ-ი დაგეგმილი ვიზიტი. გავრცელებული ინფორმაციით ჯონსონი თავს არიდებს ტრამპთან ურთიერთობას და ცდილობს მისგან დისტანცირებას. კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტივ ტრიუდო ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯავად ზარიფთან შეხვედრის გამო. ტრიუდოს თავის მართლება და იმის ახსნაც მოუხდა, რომ ირანთან დიალოგი აუცილებელია დაძაბული ვითარების ფონზე. თავად ჯავად ზარიფმა თავის გამოსვლაში ტრადიციულად მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ი ბირთვული ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის გამო, გენერალ სულიმანის მკვლელობისთვის. ზარიფის განცხადებით: „... რები. მათი ვარაუდით თურქეთმა გადასცა შეიარაღება, მათ შორის საზენიტო დანადგარები. აღსანიშნავია, რომ თურქეთის საჯარისო ნაწილი სამხედრო ტექნიკით ლიბიაშიც იმყოფება.




ერდოლანი ფართომასშტაბიანი შეტევების გაგრძელებით იმუქრება. „... ვინც დადგრის თურქი ჯარისკაცების სისხლს, ვინც არ უნდა იყოს, მნიშვნელობა არა აქვს თუნდაც ჩვენზე ძლიერი, რანიის თემა, რითიც დემოკრატები ცდილობდნენ ტრამპის თანამდებობიდან გადაყენებას, უკან დაუბრუნდათ.

ბია ბურდული
551 71 27 07

ძველი მსოფლიოს ხალხთა მორალური კოდექსი თანამედროვეობის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. სულიერების თვალსაზრისით რით სავსეა მდინარე უძველეს ხანაში? რამდენად გამოირჩევა ძველი ადამიანების აზროვნების სტილი თანამედროვეთაგან? რას თვლიდნენ უპირატესად და როგორ წარმოედგინათ ადამიანის დანიშნულება მათ? საჭირო იყო ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა და მოწინააღმდეგეობა საიქიო სამსჯავროზე წარსადგომად. სწორედ ამიტომ შეიქმნა „მიცვალებულთა წიგნი“. მასში აღწერილია ყველა ის საშუალება, რომელიც, ეგვიპტელთა რწმენით, სულს სამსჯავროზე დაეხმარებოდა. ყველა მოვალე იყო, დაწვრილებით აღწერა სამზოვზე გატარებული თავისი ცხოვრება. ასეთი აღწერა, როგორც წმინდა ტექსტი, გარდაცვლილს თან უნდა წაეღო.

ვიღ და უბედურ სულს. ძველი ეგვიპტის მკვლევართ გაუმართლათ — „მიცვალებულთა წიგნი“ გახლავთ ის მთავარი წყარო, რომელზე დაყრდნობით ყველა შემოთღამსმულ კითხვაზე სათანადო პასუხის გაცემა შეიძლება. „მიცვალებულთა წიგნი“ გზამკვლევაა უპირველესად ცოცხალთათვის, რაც გამოდგება იმის სახელმძღვანელოდ, როგორ უნდა იცხოვროდეს ადამიანი, ეს წიგნი მორალური და ეთიკური კოდექსია იმითვის, ვისაც სამართი უკვდავება სურს. ეგვიპტელებს იმქვეყნიური სამყარო სახიფათო ადგილად მიაჩნდათ, სავარაუდოდ, ასეთ წარმოდგენას

დნენ, რომ სიკვდილი დიდი მოგზაურობის დასაწყისი იყო, რომელიც მთავრდებოდა ან თავის დახსნით და სამარადისო ცხოვრებით, ანდა სრული განადგურებით. „მიცვალებულთა წიგნი“ გახლავთ გზის მაჩვენებელი და დამცავი უამრავი ხიფათისგან, თუმცა, ამ განსაცდელისას არაფერი იყო გამორიცხული, ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. განსაკუთრებით გამახვილებული იყო ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ყველას შეხედებოდა საშინელი ხოჭო, რომელიც ადამიანის სხეულს ჭამს, ყველას ელის შეხედვრა დემონთან, რომლის სახელია ამინი, ის ადამი-



„მიცვალებულთა წიგნი“



სამსჯავროზე მიცვალებულის სული ამ ტექსტს კითხულობდა და ღმერთები მასში მოთხოვნილ ამბავს ითვალისწინებდნენ. იმქვეყნიური ნეტარებისთვის ეგვიპტელი ხშირად ცრუობდა კიდევ. ამიტომ საიქიო სამსჯავროზე მანაც გარდაცვლილის გული იყო მთავარი. აქ გული აწონებოდა და გამოჩნდებოდა განსასჯელის ავი და კარგი საქმენი. რათა გულს არ გაეცა თავისი პატრონი, მიცვალებულის სული მაგიურ შელოცვებს წარმოთქვამდა. ორი მათგანს — ორმაგ ჭეშმარიტების დარბაზში, სადაც განსასჯელს მკაცრი გამოცდა ელოდა, სამსჯავრო სრული შემადგენლობით სუფევდა დიდი ღმერთის — რას მეთაურობით. აქ იყვნენ ორმაგი ჭეშმარიტების დარბაზის ქურუმი და ქვესენლის მეუფე-ოსირისი. მათთან ერთად სამსჯავროს ესწრებოდა ორმოცდარი ზებუნებრივი არსება. ყოველი მათგანი ერთ რომელიმე შეცდომას განიკითხავდა. მიცვალებული წარმოთქვამდა სიტყვას, რომლითაც ამტკიცებდა თავის უცოდველობას. სამსჯავროზე რომ არ ემხილათ, იგი საგანგებოდ ჩამოთვლიდა ორმოცდარი ზებუნებრივ არსებას, რითაც ერთგვარად მათ გულს იგებდა. ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, მართალი ადამიანის გული ბუმბულივით მსუბუქი იყო, ამიტომ ოსირისის სამსჯავროზე მას ბუმბული არ უნდა გადაეწონა. განკითხვის დასასრულს თოტი და ანბუსი იწყებდნენ გულის აწონას, თუ დაიმსახურებდა, მიცვალებულისთვის საიქიო ცხოვრების კარგი ღია იყო, თუ არა „სულთა მსვლელები“ იქვე შესანსლავდა ცოდ-

ქმნიდა ადამიანის სიკვდილისწინა აგონია. ეგვიპტელებისათვის, რომელთაც უსახლვროდ უყვარდათ სიცოცხლე, სიკვდილი უდიდესი სულის შემძვრელი მოვლენა გახლდათ. მათთვის სიკვდილი მხოლოდ დასაწყისი იყო სახიფათო მოგზაურობისა. პირამიდების ბინადართ მიაჩნდათ, რომ გარდაცვლილი იღვიძებდა საიქიოში, რომელსაც ისინი დუატს უწოდებდნენ. ეს იღუპილი სამყარო, სადაც ადამიანს მრავალი სახიფათო გამოცდა ელის. ყველაზე სერიოზული გამოცდა ღმერთთან შეხვედრა იყო, რომელიც სწორედ საიქიოში იყვნენ დამკვიდრებული და ემუქრებოდნენ როგორც მიცვალებულებს, ასევე ღმერთებს. ეგვიპტელებისათვის სიკვდილი იყო კრიზისი, რომლის დაძლევა აუცილებელი იყო. ისინი ოპტიმისტები იყვნენ და მიაჩნდათ, რომ ეს შესაძლებელი გახლდათ.

ძველი ეგვიპტელები ფიქრობ-

ნის სულს ემტერება და მხოლოდ „მიცვალებულის წიგნი“ იცავდა გარდაცვლილს ამ საშინელი განსაცდელისგან. სწორედ ამ კუთხით ჰქონდათ „მიცვალებულთა წიგნის“ მაღალმხატვრულად გაფორმებული ილუსტრაციები დიდი დატვირთვა. მაგალითად, შელოცვას „ღმერთი ხოჭოს წინააღმდეგ“ თან ახლავს ილუსტრაცია, თუ როგორ ანეიტრალებს უხილავი ძალა ამ ხოჭოს. ეს ეხმარებოდა გარდაცვლილს, თავი დაეღწია ხოჭოსგან, რომელსაც მისი სხეულის შეჭმა სურდა. ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ ადამიანს სინდისით უნდა ეცხოვრა, ღმერთების უმრავლესობა კითხვას სვამდა — რა გაგიკეთებია შენ და პასუხს ელოდა. ეს თითქოს გამოცდა იყო, ღმერთები სვამდნენ კითხვებს, რათა გაერკვიათ, სწორად, ცხოვრობდა თუ არა ადამიანი.

ყველა ორმოცდარი კარი უნდა გაეღო მიცვალებულს. ეს არ იყო იოლი, კარებს იცავდნენ უზარმაზარი მორიელები და თუკი პასუხი არასწორი იყო, ისინი მიცვალებულებს ჭამდნენ. არადა, მართლაც კარების მცველთა სახელების დასახელებაც კი შემზარავია — მსუთავი სულელები, ძვლისმტრეველები... თუკი მოხეტიალე სული მიჰყვებოდა „მიცვალებულთა წიგნის“ ინსტრუქციას, საბოლოოდ აღმოჩნდებოდა გამოცდის ბოლო საფეხურზე — სასამართლოს დარბაზში. იქ მიცვალებულს ზედებოდა ორმოცდარი ღმერთი, ორმოცდარი კარით, ყოველი ღმერთის წინ მიცვალებულს უნდა განეცხადებინა, რომ არ ჩაუდენია ცოდვა. ეს ერთ-ერთი სერიოზუ-

ლი გამოცდა გახლდათ საიქიო სამყაროში. თუკი მიცვალებულს არ ეცოდინებოდა ზუსტი პასუხი კითხვებზე, რომლებსაც ორმოცდარი ღმერთი სვამდა, ის ვერ მოახერხებდა ბარიერის დაძლევას, სხვა კარში გასვლას და უკვდავების მოპოვებას.

ეგვიპტელებს გული ყველაზე მნიშვნელოვან ორგანოდ მიაჩნდათ. აქ იყო დამკვიდრებული ადამიანის სული, აქ ისახებოდა ადამიანის აზროვნება და რწმენა, ამიტომაც მუმიფიცირების შემდეგ გულს სხეულში ტოვებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ გული აუცილებელია იმისათვის, რომ მოხვედრილიყვნენ იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ამიტომაც ასეთ მნიშვნელოვან ორგანოს სჭირდებოდა დამატებითი დაცვა. ამის საშუალებას იძლეოდა გულის სკარაბეი. მის ზურგზე ამოტვიფრული იყო „მიცვალებულთა წიგნიდან“ ერთი შელოცვა, რომელიც მიაჩნებოდა, რომ სკარაბეის მფლობელს არ მოუპარავს, არ მოუტყუებია არავინ.

ასე რომ „მიცვალებულთა წიგნის“ გადამწვევტი მომენტია გულის აწონვა. ეს ბოლო გამოცდაა. მიცვალებულის გული — ეს სიმბოლოა მისი სულიერებისა და ემოციური მდგომარეობის, ასევე მისი გონიერებისა. გული ეს ადამიანის არსია, რომელიც ინახავს კარგ და ცუდ ქცევებს. მატი ეს ქაღალდითაა, რომელიც განასახიერებს სამართლიანობას, წესრიგს, ბალანსს. სწორედ ის განსაზღვრავს მიცვალებულის საბოლოო ბედს. გული არ უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტებაზე არც მძიმე და არც მსუბუქი, ისინი

თანაბარი სიმძიმის უნდა ყოფილიყვნენ. ამ რეალობის გათვალისწინებით, ბევრ ენაში დღემდე შემორჩენილია ტერმინი „გული დამძიმდება“, „მსუბუქი გული“...

გულის ქვის სკარაბეი, რომელიც გარდაცვლილის გულს გამოხატავდა, უნდა გასულიყო ბოლო საფეხურზე იმის გასარკვევად — მის მფლობელს განადგურება ემუქრებოდა თუ მარადისობა. არის ვერსია, რომ გულის სკარაბეი ერთგვარი ფანდია, რომელიც აწონვისას ადამიანს ეხმარება, მაგრამ საგვარაუდოდ ის უფრო მეტს წარმოადგენდა, მიაჩნებოდა, რომ ადამიანი ემოციურად გაწონასწორებული და ყველაფრისთვის მზად უნდა ყოფილიყო. ეგვიპტელებისთვის ხომ გული ის ორგანოა, სადაც ემოციები იბადება. შელოცვა პირდაპირი მნიშვნელობით, აიძულებდა გულს არ გაეცა მიცვალებულის ცულლუტობანი — მიუხედავად იმისა, მას შეცდენილი ჰყავდა თუ არა სხვისი ცოლი, ანდა ჰქონდა თუ არა მოპარული რაიმე. მას ნებისმიერ კითხვაზე უნდა ეთქვა — არა. შელოცვა უნდა ყოფილიყო იმის გარანტია, რომ გული გარდაცვლილს არ გასცემდა. ამკარაა, რომ ის, რასაც ეგვიპტური ორმოცდარი ღმერთი კრძალავდა, საყოველთაოდ იყო აღიარებული ეთიკის კოდექსის ნორმებად, საოცარია, რომ ეს ნორმები სრულიად არ განსხვავდება იმ ზნეობრივი პოსტულატებისგან, დღეს რომ მარადი

ქეთიკან ზარნაძე
599 52 60 30

